საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 308

2013 წლის 11 დეკემბერი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ

„საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულების შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კობა ჩხეიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) არჩილ ჩიქოვანი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

გ) ლევან ჯაში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანაშემწე, კომისიის წევრი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე **არჩილ ხაბაძე**